

საქართველოს
საზოგადოებრივი

საქართველოს საზოგადოებრივი

№ 5



საქართველოს
საზოგადოებრივი



1909

შინაარსი

| | |
|--|----|
| I—გოგონას სიმღერა.—ლექია, შ. მღვიმეჯიასა | 3 |
| II—თოლია.—მოთხოვნა, ნინო ნაკაშიძისა | 5 |
| III—პატარა მებრუნს წერილები.—წერილი მეშვიდე ვ. თამრო- შვილისა | 9 |
| IV—ზვიაგენი.—(ტოდესტოიდან) თ. ნიჭავაძისა | 12 |
| V—კლდისბალახა.—(თარგმანი) ედ. ანტონოვსკისა | 14 |
| VI—ვირის თავგადასავალი.—(ფრანკუდით) ან. აშიდახურისა | 18 |
| VII—ნარევი.—ა) ვასართობი, — ბ) გამოცანები, — გ) ზმა, — დ) რებუსი და აღსნა | 23 |



დასავლელი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 5

1909 წლის 10 აპრილი



ტფილისი, ელექტრონის სკამა წიგნების გამომცემელ ქართველთა მშენებლობის.



ე. ლ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

შინაარსი


გვერდი 1-დან 1-მდე

1-1

1-11

| | |
|---|----|
| I—გოგონას სიმღერა.— ლექსი, შ. მდგომარეობა | 3 |
| II— თოლია, — მოთხრობა, ნინო ნაკაშიძისა | 5 |
| III— პატარა მებრეც წერილები. — წერილი მკვლავად ვ. თამარ- შვილისა | 9 |
| IV— ზვიადენი. — (ტოდსტოიდან) თ ნაკაშიძისა | 12 |
| V— კლდისბილაბა — (თარგმანი) ელ. ანტონოვსკისა | 14 |
| VI— ვირის თავგადასავალი. — (ფრანგულით) ან. აშაფერასა | 18 |
| VII— ნარევი. — ა) ვასართობი, — ბ) გამოცანები, — გ) ზმა, — დ) რებუსი და აღსნა | 23 |





კოკონას სიმღერა



აზღვსულო მშვენიერო,
სანატრელზე სანატრელო,
გულით გელი, ძაღუ მოდი,
რალა ბეური გავაჭრელო.

ავადმოუვი დედა მიწვევს,
სავარდნილა ლოკინშია,
შენ განატრობს და შენს გზას ელის,
დეუ მუდამ შენს ლოდინშია.

მშობელს გვერდით ვერ ვპორდები,
ესო ძრჩება დაუგველი,
ზამთრის სუსხი გესლიანი
გულს გვისივებს, როგორც გველი.

მეჯაგრება ეს დღე მოკლე,
შენ მიუვარხარ, შენ დღეგრძელი,
მოდი, დედა გაძიკურნე,
ამიუვავე მთა და ვედი.

გამიხარონ ფუტკართ სკები
მადლიანი ბზუილითა,
და სხოც გარედ გამოვაგდო
კუნტრუშით და 'ხმუ'ლითა.

შეგებებო, მოკესაღძო,
დიმილითა ცქრიბლითა,
შემოვცინოს კარ-მიდამომ
ხემის ცოცხის კრ: ბლითა.

მ. მღვიმელია

ლოცვნი მშობელთ



ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის
ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის
ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის

ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის
ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის
ლოცვნი: რც ააფრცე მღვიმის



თ ო ლ ი ა



ხიარულად გამოვიდა ქეთო ეზოში. იცო-
და, რომ ვეულა ქათმები, ბატები, ისვები
და ინდოურები მიეკებებოდნენ და ლამ-
ბაქი სავსე ჭქონდა ჰურის ნამცეცებით.

ძირთლაც, გამოვიდა თუ არა ქეთო, ფრთა გაშლილი ფრინვე-
ლები ვაკან-სპაურობით გამოქანდნენ და გარშემოერტყენ. მსე-
ში ვაწოლილი კატაცკი წამოსტა, და კუდ-აცქვეტილმა კალ-
თასე მიუბღერსა. მხოლოდ ჯაჭვით მიბმული თოლია მიეკება
გაბრახებული ვეფით.

ქეთომ გადაუარა ნამცეცები ფრინველებს და გამოუქებული
სახით დაჭეურებდა ზევიდან, თანაც აღერსინანად ვუბნებოდა:

— კენკეთ, კენკეთ, თქვენ გენაცვალეთ; კიდევ გამოვიტანო,
კიდევ, ხეშო მშვენებო, ხეშო ქოჩორაჰ... ხეშო ნაცარაჰ... ხე-
შო წინწყალაჰ...

— რა კარგია ჩვენი ქეთო, როგორ კვივარს... რამდენს
გვაჭმევს... — იმხდნენ ფრინველები.

— ჭამეთ, შვილებო, ჭამეთ, — ეუბნებოდა კრუსი წიწილებს
და უწიწკინიდა წვრილ-წვრილად ნამცეცებს.

— ვახ-ვახ-ვახ, ვჭამთ და წავიდეთ, წეაღში გავკრილ-
დეთ, — ვახვახებდნენ ისვები.

— ბჭ, თქვენი ჭირამეთ, ეურთა სმენა წაიღო ამ ავი ძალ-
ლის ვეფამ! — წარმოსთქვა მამალმა და გაჯავრებით მიიხედა
გრძელ ჯაჭვით მიბმულ დიდ თეთრ ძაღლისაკენ, რომელიც
გაშმაგებით დაბობდა და ჭეუვდა. მამალმა გაჩებურტყა ფრთები,
ერთი დაივიღა და შესძახა ძაღლს:



— დახუდდი, შე ავო, რომ დღით და ღამით ჰქუფ, ჰქუფენ და აძინებ ვუკლას... კიდევ იმიტომ დაკაბეს, რომ ავი სარ!

— იმიტომ ვარ ავი, რომ დამაბეს, იმიტომ ვუფ და ვკებენ ვუკლას, რომ ჩემი უბედურება გავაკებინო, — ჰქუფდა ძაღლი გაბრაზებული.

— სტეუის, სტეუის! — დაიღუღღუდა ინდოურმა, — თუ ასეა, მარტო ზატრონს უნდა ჰქუფდეს და ეს კი მხოლოდ სტუმრებს არ ინდობს. გუშინ კი მათხოვარსაც კინაღამ უკებინა...

— რასაკვირველია სტეუის, — ჩაიკაკანა წითელმა ქონორამ, ზიზღით გადაჰხედა თოლიას, სანქაროდ გადაჰქულა ზა დიდი ლუკმა და მიუახლოვდა ქეთოს. ქეთო დაასარა, აიუკანა ქონორა, აკოცა და ისევ გაუშვა.

— აი, ხედავთ, — განაგრძო მან, — ავი რომ არ იყო, განა ქეთოს დაჰქუფდა?

— აჰ, — ჰქუფდა თოლია, — თქვენ არ გესმისთ! ჩვენი ზატრონი ავი კაცია და იმიტომ დამაბა, რომ ვუდარაჯო იმის ქონებას: აბა რას შეისმენს ჩემ ვედრებას? ჩემზე მეტად თავისი სიმდიდრე უყვარს... ხარბია... ხარბია! აი ამიტომ ვუფ სტუმრებს, რომ აღარ მოვიდნენ ამისთანა აკაცთან! აი ამიტომ ვუფ მათხოვრებს, რომ აღარა იკადრონ რა ამისთანა ხარბის და უდიერისა.

— გენაცვათ, სტეუის, სტეუის, არ დაუჯეროთ მაგ სმაგელს! — დაიკრუტუნა კატამ, — ქეთოს რომა ჰქუფს..

— აჰ, შე არამისადავ, — შეუტია თოლიამ, — რა ცუდღუტი ხარ! შენ თავისუფლად დარბიხარ ჰ სსვის დარდი არა გაქვს. ქეთოს იმიტომ ვუფ, რომ გავაკებინო, რა ტანჯვაა ჩემთვის ამ ჯაჭვის ტარება! მაგრამ რომ არც იმას ესმის... არ ესმის...

— აჰა! გაათავუთ, ჩემო მძვენიერებო, ჩემო ქონორა, ჩემო ზაწაწკინებო... ახლა წადით, ისეირნეთ, ირბინეთ, ისიამოვნეთ! — უთხრა ქეთომ ფრინველებს, აიუკანა კატა ხელში და ჩაიკრა გულში. — ახლა, ჩემო კატუნავ, წავიდეთ და თოლიას მოვუტანოთ ზური, — უთხრა კატას და გასწია სახლისაკენ.



— არ მინდა შენი ჰური, არ მინდა? მეც მინდა სიჭკნობა და ვისუფლად!.. — ჰეჰეჰედა თოლია.

ფრინველები ნისკარტის წმენდით წავიდნენ-წამოვიდნენ, კრუსიკი იქვე ჩაცუცქდა და ჩაისუტა ფრთებს ქვეშ თავისი შვილები. მძაღლიც ღობესე შეჯდა და ფრთებს იბერტედა. ქეთო გამოვიდა, სელში ჰური ეჭირა და გასწია თოლიასაკენ, რომელიც ისევ ბღელვებულად ეფუთ აპირებდა მიტეპებას.

— ჩემო თოლიაჲ, ჩემო საბრალოჲ, როგორ მეცოდები, რომ ამისთანა მძევნიერ, მზიან დღეს დაბოძლი ხარ... როგორ მინდა გაკათავისუფლო, რომ შენც შევეძლოს მწვანე მანდვრებში სირბილი... ძაგრამ მძა არ მაძლევეს ნებას. — ამბობდა დაღონებული ქეთო.

გაკვირვებული თოლია ჩაცუცქდა, წინა ფეხებსე დაეჯდნო და დაუწყო ცქერა ქალს.

— აჰ, აღარ მეუფ, ჩემო თოლიაჲ, მამ ახლოს მოვალ...

ქეთო მივიდა, ჰური ახლოს დაუდვა და მოჰსვია ორივე ხელი ძაღლს კისერსე. თოლია სისხარულით აცრემლებული შესცქეროდა, აქნევდა კუდს და ხელი წკრუტუნით ეუბნებოდა:

— ახლა კი ვხედავ, რომ კებრადები, რომ გაკათავისუფლებ კიდევ...

ქეთოს თითქოს ესმოდა ძაღლის გულის ზანუსი და აღურსით ეუბნებოდა: — დაიცა, თოლიკო, მე შენ გავიძვებ, გავიზრდები და გავიძვებ. მოგსხნი, დავამტვრევ ამ საძაგელ ჯაჭვს და გადავაგდებ... ირბანე, რამდენიც გინდა... თუ გინდა, მიგვატოვე, თუ არ გიყვარვართ...

— არასოდეს არ მიგატოვებო, არასოდეს! — წკრუტუნებდა თოლია. — მე თქვენ მიყვარხართ... მე ეველა მიყვარს! მამ თავისუფალი გაქნები... არავის აღარ ვეკებენ...

— დახე, დახე, — წარმოსთქვა კრუსმა და გაიხედა მამლისაკენ. — ხედავ, სვენს ავ შევარს, როგორ ეფერება ქეთო.

— საკვირველებო, საკვირველებო! სწორედ ევილიც კი დამავიწყა ამ ამბავმა, ერთი მივიღე ვნახო. — წარმოსთქვა მამალიც

და ჩამოფრინდა ღობიდან. აჰ, შენც აქ ხარ, კრუტუნავ, — მიმართა კატას, რომელიც იქვე ჩაცხუცქებულიყო და რაღასაც კრუტუნავს.

— დიად, ქეთო ჯანჯეს დაამტვრევს, თოლიას აუშვებს და სამივენი ერთად ვისეირნებთ.


— ავი ამბობდი, ავი და სამაგულიაო...

— უგაგროდ, — მიუგო კატამ, — მე ვველა მიუვარს, ვინც პატრონს უვვარს...

ამ დროს მამალმა მოიხედა და დაინახა ძაღლის ახლოს ჰურის ნატყსი. ერთი შეწერდა, მოტრიალავ, დააფრინდა ჰურს და რაც ძაღი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა. მძაურობაზე ეოგელი მხრიდან გამოცვივდნენ ქათმები, ბატები, ინდოურები, იხუები, დასცეს ეიყინა და უვირილ. მძაურობით გამოუდგნენ მამალს, წითელი ქორა გაწიწმტებული კაკანებდა და ეველახე წინ მისდგება მამალს; კრუტუნავი კი წამოდგა, მაგრამ ნახა, წიწილები არ დგებ: ანო, ისე დაჯდა და გაადაფარა ფრთები.

— ხა-ხა-ხა! — განხარხარა ქეთომ, — სედაჟ, თოლია, როგორ მოგვტაცეს ჰური... არაფერია, კიდევ მოვიტან, — სთქვა ქეთომ და გაიქვა სახლისაკენ, თოლია კი იღვა და კუდის ქვევით შესცქეროდა ხან ფრინველების გუნდს და ხან მინისაკენ სირბილით მიმავალ ქეთოს.

6. ნაკაშიძე





პატარა მხრეს წერილები

წერილი მეშვიდე

მალაქელებო! მეშვიდე წერილსა გწერთ და თქვენ კი ზირი ისე შეირცხვინეთ, რომ ღამის არის ჩვენებთან საქაროს მსხარად ასაგდები გამსადოთ. როცა კი თქვენთან წერილის მოსაწერად გავკმსადები, დანარე-ბულსავით ჩემთან გაჩნდება და ვითომდა დადინჯებულ კი-ლოთი მეტყვის: — „შენ, ეი, ჩვენო მწერალო, რატო შენ ქრ-ქში არ ხადგები, სომ ჰხედავ, ის ქალაქელები ეურადღებან არ გაქცევენ“ — მე ძანც გულის არ ვიტყვ და ძველებურად გამოგელანძარკებით.

თებურვადლი სომ ესლახან დაღვა, მდგრამ ბალახმა თავი კიდევ ამოჭეო. როგორცა სჩანს, ადრეული გაზაფხული იქ-ნება. ჩვენს სოლოძანს ძალიან უხარია და ძალი-ძალ იტ-ვეის სოლძე: — „ადრეული გაზაფხული — ღვთის ბარაქა არისო“!

გამოტყვით უნდა გითხრათ, ქალაქელებო, ან კი თქვენ-თან რა მაქვს დასამალი, რომ სამთრის ეველის გასვლას გუ-ღითა უნატრობ: თუმიც არც სამთარია თავის წილ სიმძნა-რულეს მოკლებული, ძანც გაზაფხული სულ სსვა არის. გა-

ზაფხულზედ ჩვენი თვალ-ჭრელახ კურტრუში სამთრის სიკარგეს ჯობეში ჩაიხვამს. საქონელსაც მოსწყინდა კომპიუტერსა და იმათ ღმუვილს ეერთა-სმა აქვს წაღებულა, მეც მომბეზრდა დედამერივით კურახთან ჯდამა გრძელ სამთრის ღამეს.

მაგრამ უმთავრესის ძონწერა სულ დამავიწყდა: დასწევვლოს ღმერთმა, სამთარსკე ჩივალმა მთლად გამატაცა. ვეკლივრის კვირა შეუდარებელ სიმსიარულთ გავატარეთ. ვეკლივრის ორშაბათს დედანქმა ჩიტებს ფაფა გაუკეთა. კოკის წვრილ ნატყნებზედ დაუულაკეთ სანუკვარი ჩვენს სტუმრებს და ღობეებზედ გავუმწკრივეთ. ჩვენი სოფო ისეთ გულმოდგინებით უმანძინძღებოდა, თითქოს იმათთან ერთი ათჯერ უოფლიუოს სადილად მიწვეული და ესულა სამაკვირო პატრვისცემას უხდიდეს. იმავე ორშაბათს საედრის დიდ მუხასკედ საქონელა ჩამობეს სოფლის უფროსმა ბიჭებმა. მთელი სოფლის ქალი და კაცი იქ იყვნენ. პირველად რაქვიანთ ილა გაქანდა და ისე გაძლიერა, რომ იმის დედა თინას შიშისავან წამ-და-უწუმ გული მისდიოდა. ბევრმა ხელმარჯვე ბიჭმა სცადა ილასავან გაძლიერებულ საქანელის შეეხება, მაგრამ ტყუილად.

ქალებმა ხომ „უი ქა“-ს მანლით ეველა მუჯერეს. მთელი კვირის განმავლობაში საედრის ესოში განუწვევტელი დაირა-ბუზიკა ილა განაღებული. თამაშობამ ეველა ისე წახანლისა, რომ სოფლის ბებიათ ჯობინანთ მარიაძეც კი ერთი სვლობა ჩამოუარა და თან განახებულ ქალებს ქოქოლას აერიდა, — „ჭკდილებსავით რომ წათქვირებულხართ, ნეტა რის ძაქნისები ხართო“ მისძახოდა.

ხუთშაბათს დაიწყო ბერიკაობა. ბერიკად მურაკანთ სიკა იყო, მეფედ ბეციანთ ანდრო, დედოფლად კიდე დათუკიანთ ძაქრო. ხალხი სიცილით იხაცებოდა, რიცა მურაკანთ სიკა ღორის ტყავებში განვეული და ღორისვე თავით დამძვენებული დავლურს უვლიდა. ტავალაანთ ბებრმა პირში კვერცხი მისცა, მოუჭირა ბერიკამ კბილები და კვერცხის ცილა ბებურს სვლებზედ გადასხა. წინ დაფა-სურნა მიუძღოდათ და იყვნენ

ერთ ამბავში. მთელი სოფელი თან დასდევდა. ზატარა ბაღუაძე კი კარგად არ დაშინახავს იმ სამ დღეს, ისე უშინოდან დასდევდა. კვირას ჩვენს სოფელში სხვა სოფლის ბურია გადმოვიდა, თავისთანებით წახალისებული ნიკა გამოუდგა უცხო ბურიას და სულ კუდიტ ქვა ასროლინა. — „რომ მოვწვენოდი, ეშვებით დავუხვედი იმ ტუპსაო“, — ამბობდა ქმენით, სირბილისაგან დაღლილი ნიკა. ორმაბათს უფრო დიდი ამბავი იყო. ჯერ დილით მინ ნამცეცობა გამოვიტორე; ნამცეცობა კი არა, მე და ჩვენი სოფოკვირის დაწმენილ ფლავს მუჭით ჰირს ვიტყვით. სოფელში ევენობა იყო. ვვენად რაქვიანთ ივანკო დასვეს.

თავსკედ იმ სიმაღლე ქალაღის ქუდი ესურა, რომ ვვენს კი არა, სონთქარსაც აჭარბებდა. ტანსკედ სომ რა გინდათ, რომ არ ეცვა? ძველი ტომარდინ დაწვებული დაგლეჯილ ჩოსამდის. სელში გქელი მოლტი ეჭირა და სადაც კი მიიჭრებოდა, ვველგან თავსკედ წვალს ასხამდენს, თითქოს გულმეწუხებული უოფილიოთ. სიცილ-სარხართ დაოსებულა სხლსი შისი გადაწვერამდის ძლივს დაიძალა. იმ სელამოს თავები გამოვრეკეთ სახლიდან, დავიჭირე სელში ერთი დიდი ტოტი ბებერ ასკილისა და თავგება კი არა ჩვენ კატანსაც ორიოდე გუცსუნე, ისე გავეცხარდა.

სოფო, რაც ძალი ღონე ჭქონდა, უფხაკუნებდა კასრებს ასკილის ტოტს და სხამაღლად გაჭკიოდა: — „თავკო, თავკო, კარში გამო, ანგელოხო მინ შემოდიო“. — მე კარსკედ გამოსული არც ერთი თავკვი არ მინახავს, მაგრამ ჩემი ვალა ჰირნათლად შევასრულე.

ამ კვირას კიდევ მოვიცდით და მომავლიდან კი საქონელს მინდორში გავრეკავთ. მაშინ უფრო იმედიან წერილს მოგწერთ, გასაფხულთან ერთად დამიბრუნდება ჩემი დაუდგრომლობაც და სუნის დროს ჩემ სუფარელ ოროველას უფრო კარგად დავარბავრავებ!..

თქვენი ძმა მესრე ილიკო.

3 თამაროშვილი





ზ ვ ი ბ ე ნ ი

ტოლსტოიდან

ვენმა გემმა ზურციის ნაპირთან ჩაუშვა ღუსა.

მძვინკური დღე იყო. ზღვიდან გრილი ნიავი მოჭქროდა.

სალამოზე სიომ ჰირი იბრუნა და ხმელეთიდან, როგორც ვახურებულ თორნიდგან, დაჭბერა სახარის ცხელმა ქარმა.

მსემ რომ გადახარა, გემის უუროსი გამოვიდა საჩესზე და მესღვაურებს უბრძნა, — იბანეთო.

ერთ წამს ჩახტენ მესღვაურნი წვალში, ჩაუშვეს ვაძლილი იალქანი, მიაბეს გემს და გამართეს საბანაო.

სხვებთან ერთად ბანაობდა ორი ჰატარა ბიჭი. ტილოზე ბანაობა მოსწეინდათ და ზღვაში გაცურდნენ.

ერთხანეროს ეჯიბრებოდნენ, ტყელივით იკლანკებოდნენ და სწრაფად მისრიალებდნენ იქით, საითაც მოჩანდა ღუსის ზევით მოტივტივებული ბოჩკა.

ჯერ ერთი დაეწია ამხანავს, ბოლოს მეორემ გაუსწრო.

ზირველის მოხუცი ძაძა იდგა გეშხედ და შეხედდა თავის შვილს. შვილი რომ ჩამორჩა ამხანაგს, ძაძამ დაუყვირა, — არიქა, ეონხადა იუაჯ, არ შეძარცვინოთ.

უცებ სახეხიდან გაისმა ვვირილი: სვიგენი, სვიგენი!

ჩვენ ვველამ დავინახეთ საძინელი თევზის ზურგი. სვიგენი ბავშვებისკენ მოცურავდა. დაბრუნდით, დაბრუნდით, სვიგენია, — უუცროდა ძაძა.

ბავშვები მხიარული სიცილით და ვგარბილით მიცურავდნენ და არაფერი ესმოდათ.

ძაძას მკვდრის ფერი დაედო, უმრავად იდგა და თვალს არ ამორებდა ბავშვებს.

მეზღვაურებმა ჩაუშვეს ნავი და გაქანდნენ ბავშვებისკენ, ძაძომ ჯერ შორს იუფნენ, სვიგენი კი ოცი ნახაჯის მანძილსე-ლა იყო მობანავეთაცან.

ბიჭებს ჯერ არ გავეოთ ვვირილი, ვერც სვიგენსა ჰხედავდნენ.

მოიხედა ერთმა მათგანმა, საძინლად შეჭვივირა და გაშორდნენ ერთმანეთს.

ბავშვების ვვირილმა გამოაფხიხლა მოხუცი ძაძა: გაქანდა ზარბაზნისკენ, მობრუნა ლულა, ნიძანში ამოიღო ფევეზი და ჰატრუქი დაადო.

ვეელანი გაშეშებული ველოდათ.

გაისმა ზარბაზნის სმა, მოხუცებული დაეცა ზარბაზნის კვერდით და სახესე ხელები მი ფარა.

ბავშვებს და თევზს კომლი ეუარებოდა, არაფერი სჩანდა. ჩვენ გაფაციცებით ველოდით კომლის გაფანტვას. გეშხე ხალხის გრგვინვა ისმოდა. როცა კომლი გაიფანტა, ვველას გულზე მოეშვა და ეს გრგვინვა ერთ სიხარულის სმად იქცა.

აი ვვირილზე მოხუცი ძაძა სესე წამოდგა და გაიხედა ზღვისკენ: სვიგენი გულადმა ეგდო და ტალღებზე ქანობდა, ბავშვები მეზღვაურებს ნავში ჩაესვათ და გემისკენ მოჭქროდნენ.

თ. ჩიჯავამისა





კლდისბალახა

თარგმანი



მ, უმ, რა ცივა, რა ცივა!. აღარ თავდება ეს სამთარი... უკანასკნელი ღონით ებრძვის, არავის უთმობს თავის ალაგს, ჭინავს, ქარი ქრას, თოვლი მოდის, ბუქია... მკონია, მსე ვერ იხეივებს, თუცა დიდი აღერსით დაჭეურებს დედაძინას და ცდილობს დაათბოს, გადაცოცხლოს ეველა ცხოველი.

აი გათენდა ზირველი დილა გასაფხულისა. ამოვიდა მსე, მოჭყინა თავისი სსივები ბალებს, ტყეებს, მინდვრებს, -- ახლა კი ეღიროს გააწუბოს ვერც ეინვა, ვერც ქარ-ბუქი მის ცხოველ-მოოველ ძელასთან.

ბაღას ქვეშ თავი ამოჭეო ჩვენმა კლდის ბალახამ, გაუბედავად მიიხედ-მოიხედა, შეერთა, უხერხულად იგრძნო თავი: არა ჩანს რა, მხოლოდ თოვლია...

— ჯერ, მკონია, ადრეა; ისევ მაწაში ჩავძვრები, იქა თბილა და არც საშიშია... ის იყო, უნდა ჩამაღულიყო, რომ უცბად გაიფანტა ღრუბელი, გამოანათა მსემ და გადაცოცხლა ევავილი... ევავილი გამხნედა და გაბედვით მაღლა ასწია ნახი თავი. აღარ უნდოდა მიწაში ჩამალვა, ზარიქით სიცოცხლე სწეუროდა..

ნახო ადრე გააღვიძა მსემ: თავისი სსივები შეანათა სარკმელში და ძილი გაუკრთო. ფარდა შეირხა და ფარდის უკან გამოჩნდა ბავშვის ღმამისი სახე გაბრწყინებული თვალებით.



— დედა, დედა! დრო არის ადგომისა?

— რა დროს ადგომა, შვილო, დაიძინე ისევ.

ნინოს აღარ ეძინებოდა: ან რა დროს მილია ამისთანა მზიან და მხიარულ დღეში? ის არა სჯობია, ჩქარა ჩაიცივას და ტყეში წავიდეს! რა მძევნიერება იქნება ესლა ტყე!

„ნეტავი, რატომ არ მიძვეებენ მარტო სასეირნოდ, როგორც მესობლიანთ ქალებს?“ ფიქრობდა ნინო მწოლარე— „ჩემსუ უფროსები მაინც იუყვნენ..—რა ბედნიერები არიან!“

— დედა, დედა! დაუძახე ნინომ. მის ხმაში ისეთი ნაღვლიანობა და თან სინაზე ისმოდა, რომ დედას შეებრძლა თავისი ჰატარა ქალი.

— გეტუობა, ძალიან გინდა გასეირნება. მაშ კარგი, ადე ჩაიცვი. ჯერ მსუ ძაღლა არ ამოსულიყო, რომ ნინო და მისი დედა მიდიოდნენ ტყის გზაზე. გამხიარულდა ნინო, ეგვლა ახარებდა: დილის გრილი ჰაერი, სეების ძრიალი, ჩიტების ჭიჭიკი; სტოდა, ცინოდა, შეუჩერებლად ტიტინებდა. უცბად დაიკვირა:

— დედა, დედა! აქ მოდი, აქ! ჩქარა, ჩქარა! უუურე ევა-ვილი! ის იყო კიდევ წაატანა ხელი, მაგრამ დედამ შეაჩერა.

— ნუ მოსწვევტ, შვილო, ჯერ გაიხარდოს; ეს ჰირველი ევა-ვილია გაზაფხულისა, — თოვლი დადნება და ეკვც გაიძლებს, კლდისბაღასა!

— კლდისბაღასა! კლდისბაღასა! მაშ მართლა მოსულა გაზაფხული!.. იჰ, დედაჯან, რა ლამაზია! რა მძევნიერია!..

— არ მესმის, რითია ლამაზი ეკ სამაგელი ევა? — წაიდურჯება ძაღალმა ნაძუმა, — არც სიღამაზით, არც სიმაღლით, — არაფრით არ ვარცა! აი, ჩვენ, სულ სხვა ვართ: ძაღლები, წერწეტა ტანისანი... ამ ჰატარა გოგონამ კი ისე გაგვიბარა გვერდით, რომ ზედაც არ შემოგვსედა! სულელია! სულელი!

— ტუილს აძობ, — შენიძნა მძვიდად ტყისბაღასამ:



ჩემი ნახვა იმიტომ უსარბანთ, რომ გაზაფხულის მარტოველი ვარ; ნამძევსაც სომ გაქვთ თქვენი დრო, ჩვენსედ უპო-
თესნი: ამბობენ, საძობოდ ბავშვების გასამხიარულებლად მძვე-
ნივრად გამკობენ და ეველანი თქვენ შემოგსარბანო. ჩვენ იმ
დროს არც კი ვისმე ვახსოვართ; მაშინ მიწის ქვეშ გვძინავს
და ფიქრადაც არ მოგვდის, შევიძუროთ თქვენი მდგომარეო-
ბა. ეველას თავის დრო აქვს...

ნამძვი დაღურემილა უსმენდა. გრძნობდა, რომ მართალს
ამბობდა ჰატარა ევაგილი; მაგრამ მართალი არავის მოს-
წონს და ნამძვიც უფრო მეტად ანხსლობდა.

გავიდა ერთი დღე. მეორე დღით ისევ მივიდა ნინო და
ნახა თავისი ევაგილი.

— გაზრდილა აი, დედა, შესამჩნევად გაზრდილა ერთ
ღამეში; სვალ მთლად გიძმლება, მოვწვევით, მინ წავიღოთ
და წიქით მაგიდაზე დავდგათ.

— ეს კი მეტის-მეტია, — წაიდუდუნა ისევ ნამძვი, — ეს წუწ-
კი წიქით მაგიდაზე დასდგან და მას შეჭხაროდენ! სწორედ
გაბრახებს ეს ჰატარა გოგო.

შესამე დღეს ნინო ისევ მივიდა ტყეში, გვერდით გაუბ-
რა ნამძვს და მივიდა ევაგილთან, ნამძვი შეინძრა და თავისი
ეკლიანი ტოტი გაჭკრა ჰატარა ქალს. ნინომ ტირილი დაიწყო.

— ბოროტი, სამაგელი ნამძვი! — სთქვა ნინომ, — ჭმურს,
რომ ამ ევაგილს ვუაღერებ.

— შენ ეგ გაკვირვებს, ჩემო ჰატარავ? სწორედ მითხარ,
ეს ნამძვი არა ჭკავს ერთ ჩვენ კარგ ნაცნობ ჰატარა ქალს,
რომელიც ხშირად აწუსებს დედას: ანოს ახალი დედოფალი
ჭკავს ჩემ დედოფალზედ კარგი, მაშოს ლამაზი სურათებიანი
წიგნი აქვს, მე კი არა, სონა და სამა ეველვან მარტო და-
დინან, მე კი ნებას არ მაძლევო და სხვა და სხვ... — ჭკოთხა
დედაძ.

— მერე რა? განა მართალი არ არის, დედა? —
 კლულად სთქვა ნინომ.

— არა, შეილო, — უთხრა დედა: — რაც შეეხება ტიკინებს და სურათებიან წიგნებს, თუ კარვად დაფიქრდები, შენ მეტი გაქვს, ვიდრე ანოს და მაშოს ან იმას რად სხივი, ისე თავისუფალი არა ვარ, როგორც სონა და საშო? აი, როცა გაიზრდები, დაწვეიანდები, — მაშინ სულ სხვა იქნება: ვეელას თავისი დრო აქვს.


ნინოს შერცხვა, თავი დახარა და ხმას არ იღებდა. მერე უცბად თავი აიღო და დედას მოესვია.

— დედაჯან, ესლა კი შესმის... მე არ მინდა ამ შურიანს და ბოროტ ნაძვსა ვკვანდე. ვეცდები, ამ ვვავილს დავუმსგავსო.

— კეთილი იყოს შენი ნატვრა, ხეძო კარგო, — უთხრა დედა და მოესვია ნინოს, — ახლა კი მოჭვლიჯე ეს ვვავილი, რადგან უკვე საკმაოდ გაიშალა. წავიდეთ წებალში ჩავდვათ და შესწოთსში დავდვათ მაკიდახედ.

ელ. ანტონოვისკისა





პირის თავგადასავალი

XIII საკლასო

(ფრანგულით)



ადილმა დიდხანს არ გასტანა, ჟანდა-
რმები ეშურებოდნენ ბინდამდინ შესდ-
გომოდნენ საქმეს. ბებიას სთხოვეს, კა-
დიმონს თან წავიყვანთო: ძალიან
საჭირო იქნება ჩვენთვის, მოახსენა
უმფროსმა; ეკ უბრალო ვირი არ არის
და ბევრჯელ გამაოჯენია ჭკუბა. წაი-
ყვანეთ, ბატონო, თუ კი გამოგადგე-

ბათ საქმისთვის, უზახსუა ბებიამ, მხოლოდ გთხოვთ ძალიან
ნუ დაჭლახავთ, საბრალო პირუტყვმა ეს არის ესლა ოთხი
შვილი-შვილი მომიყვანა ზურგით, და კარგა დიდი გზა გა-
მოიარა.

— რაც შეეხება ძაგას, ბატონო, დამშვიდებული ბრძანდე-
ბოდეთ, ძალიან გაუფურთხილდებით.

შვრია დამიუარეს, საღათი და სტაფილო მჭამეს, წებლი
დამლევინეს, და მხად ვიეპე სამკსავროდ; წავუძედ წინ, ჟან-
დარმები უკან მომევენენ. კიდევ კარგი, არა წსეინდათ, რომ მე
მიძევადა ისინი. ტეუილად ამბობენ ჟანდარმების სიაკვაცეს.
იმათზე უკეთესი, მოწებლე და მომთმენი მე არავინ შეძვედ-
რია. მეტად მიფრთხილდებოდნენ: თავიანთ ცხენები წუნარად
მიჭებუდათ, რომ მე არ დავღალუფიებავ. წებლი რომ შეკვდე-
ბოდა, მასმევენენ. შებინდდა, როცა მონასტერს მივადწიეთ.

უძფროსმა გასცა ბრძანება, კადიმონს მიჰქვეით ვერაღმად
 თვალი ადევნეთ ძაგის მოქმედებასაო. ცხენები იქვე სოფელში
 მიაბარეს, რომ თავისუფლად ემოქმედნათ, მე მოვიყვანე იმ
 ბუნქნართან, საიდანაც დავინახე ამოსულა ქურდები. რაკი მე-
 ვნიძნე, რომ ჟანდარმებიც უკან გამოიქვენენ, უკანვე გავტრია-
 ლდი; ჩხინიც მოიქვენენ და მივაფარე კედელს, მე კი ისევ წა-
 ვველ ბუნქებთან და ისინი კი აღარ მავუძვი იმ ალაგას. მი-
 მისვდნენ და მიიძაღნენ კედელს-უკან. მე მივუახლოვდი სარდა-
 ფის შესავალს და დავიწვე ძაღზე ეროეინი, ძაძინ ეველა ჩემი
 ამხანაგების ეროეინიც მომესმა სარდაფიდან. ხელმოკრედ და-
 ვიეროეინე, ძაგრამ ზასუსი აღარ მომცეს: მიხვდი, რომ ავა-
 საკებმა ჩემს ამხანაგებს კუდებზე ქვები შეაბეს, რადგანაც ევე-
 ლამ ვიცით, რომ ეროეინის დროს ჩვენ კუდს ავიწვეთ სო-
 ლმე; ქვისგან დამძიებულ კუდს კი ვეღარ, ახწვედნენ და ამი-
 ტომაც ჩაჩუძნენ. სწორედ ორ ნაბიჯზე ვიდექ შესავლიდგან,
 როდესაც ერომა კაცმა ამოჰქეო, თავი, მიიხედ-მოიხედა და
 რაკი ვერავინ დაინახა, წარმოსთქვა: „აი ეს საძაგელი, დღეს
 რომ გავკვეცა! ესლა შენც შენ მეგობრებთან მივიყვან!“ ის იეო
 უნდა წაველო ჩემთვის ხელი, მე უკან დავიწვი, ისიც მომ-
 ევა... და კედელს-უკან კი მივუყვანე ჩემს მეგობარ ჟანდარმებს.
 ძანამ ის მიხვდებოდა რასმე, ჟანდარმებმა სტაცეს ხელი, შეჰ-
 კრეს და მიაგდეს მიწაზე. მე ხელმოკრედ მიველ სარდაფთან
 და განვიძიერე ეროეინი, რომ ახლა მეორეც გამოიქვეუილე-
 ბინა, თავის ამხანაგის ამბის შესატეობისად.

ძართლაც და კიდევ გამოჩნდა კაცის თავი, რომელიც
 სიფრთხილით მაცქეროდა; ისიც იმგვარადვე მივგვარე ჟანდა-
 რმებს. ამ რიგად დავაჭერინე 6 კაცი, მერე კი ბევრი ვი-
 ეროეინე, ძაგრამ აღარავინ გამოჩნდა. უთუოდ მიხვდნენ ავასა-
 კები, რომ ამხანაგები საფრთხეში ჩაცვივდნენ, და ვეღარ გა-
 ბედეს გამოსვლა. დაღამდა კიდევ, აღარა ჩანდა რა. უძფრო-

სმა ერთი ჟანდარმი ვაჭკვსაზნა და გამოითხოვა მამველი
 ზმი, რომ სარდაფში ჩასულიყვნენ და სხვებიც შეეპურათ. დაა-
 ბარეს აგრეთვე ურემიც, რომ ექვსი შეკრული კაცი მივ ჩაე-
 სნათ. ჟანდარმები სოჯნი ავაზაკებს სდარაჯობდნენ და სოჯნი სარ-
 დაფის კარს. მე მომიხლერსეს და მაქეს.

ვირი რომ არ უოფილიყავი, ჯვრის დირსი იქნებოდიო,
 სთქვა ერთმა.

— მაგას სურვსე აქვს ჯვარი გამოხატული, მიუგო მეო-
 რემ.

— განუძდი, მიუგო მესამემ, არ იცი რომ ვირს ჯვარი
 აქვს გამოხატული, რადა მოკვაგონოს მაცსოვრის ვირსე
 ჯდომბა.

მაშასადამე ევ არის ჯვარი დიდებისა, სთქვა ერთმა.

— ჩუმად, დაბალი სმით მიუგო უმფროსმა: კადიმონმა
 უურები სცქვიტა

მე მოქესმა რადაცა სმაურობა სარდაფში, თითქოს რადაცა
 სკდებოდა. ურუდ მოკვესმა ევირილიც. ჯერ ვერას მივხვდით,
 მანამ ცეცხლის ალი არ დავინახეთ ძირის ფანჯრიდამ.

ცეცხლი ეკიდებოდა იქაურობას. ცეცხლი წაუკიდეს, რომ
 გაკვეძნენ, სთქვა უმფროსმა.

— უნდა ჩავაქროთ, სთქვა ერთმა ჟანდარმმა.

— არა! ოღონდ, თვალი ადევნეთ და, თუ დაინახოთ ავა-
 ზნაკი, თოფი ესროლეთ. უმფროსი სწორედ მიუსვდა ქურდებს,
 რომელთაც იგრძნეს თავიანთი აღსასრული და ცეცხლი წაუ-
 კიდეს იქაურობას: ჟანდარმები გაქრობას მოუნდებან და სვენ კი
 კოვიცეკით, სვენს ამხანაგებსაც გავიოლიებთო. აკერ ექვსი
 კაცი თავიანთი უმფროსით გამოცვივდნენ უცებ ბუჩქებიდან.
 ჟანდარმებმა მაშინვე ესროლეს. ორი ავაზაკი დაეცა, მესამე-
 საც გავარდა ხელიდან დამბასა, რადგან მკლავში მოხვდა ტყვია.
 მაგრამ სამი დანარჩენი, უფროსით, გაშმაკებულნი ეცნენ ჟან-

დარძებს, რომელნიც სმლითა და დამბასებით სეღში სახით შეებრძოლნენ. ბრძოლა ძალე დასრულდა. ავაზაკნი, სოკნი მოკლულნი, სოკნი დაჭრილნი იქვე ეუარნენ. მხოლოდ მათი უმფროსი კიდევ ებრძოდა ერთ ქანდარძს, ორნი კი მძიმედ იუვნენ დაჭრილნი. მიეშველნენ, სტაცეს უფროსსაც სელი, შეჭკრეს და იქვე მიაწვინეს დატყვევებულლებთან. ამ ბრძოლის დროს ცეცხლიც ჩაქრა, რამდენიმე ფიცარი და ჩალა დამწვარიყო. უმფროსი შინც ელოდა მამველ რახმს, და ვერა ჭბუდამდა სარდაფში ჩასვლას. კარგა დამე იყო, როდესაც ექვნი ქანდარძი მოვიდა და ურეში მოიტანეს, რომელშიაც ჩაწვინეს 7 შებოჭილი ავაზაკი. ჩვენი უმფროსი კეთილი კაცი იყო, ასე რომ ჰირები აუხსნენინ; იმათაც მორთეს ლანძვლა-გინება! მაგრამ ქანდარძები უურს არ უკდებდნენ. ორი ქანდარძი ჩაუსნდ ურეში მცველებად; დაჭრილებითვის საკაცებები გააკეთეს. ამ მხადების დროს, მე ჩავეყვი ქანდარძებს სარდაფში. ჯერ შეველით გრძელ დერეფანში, მერე ავაზაკების სადგომში. თავლაც ჭქონდათ გამართული, საცა ჩემი ამხანაგები დამიხვდნენ კუდებსე ქვაშებულნი. მაშინვე მოხსნეს ქვები, და შეიქნა საერთო ღრიალი, იმათ უროეინისკან ადამიანი დაურუვდებოდა.

ჩუმად, ვირებო! უთხრა ერთმა ქანდარძმა, თორემ ისევ ქვებს შევაბამთ.

— დაესსენ, მიუბრუნდა მეორე, სომ სედავ, ქვებს უძღვნიან კადიმონს:

— არაფერი საქებური სმაა, სთქვა ქანდარძა.

ამ კაცს მუხიკა არ ჭეუარებია, გავიფიქრე მე. რატომ არ მოსწონს ასეთი ტკბილი სმა ჩემი ამხანაგებისა?


საბრალლო მეგობრები გელობდნენ თავიანთ დასსნას! ერთ ალაგას იყო დაგროვილი მრავალი ნაპარავი, მეორეში იუნენ ტყვეები, რომელთაც იმსასურებდნენ: საჭმელს აკეთები-

ნებდნენ, იქაურობას ასვეტინებდნენ, აკერვინებდნენ ტანისადაც და ფეხსაცმელს. ზოგნი უბედურნი ორი-წელიწადი ჭკავდათ დამწვევდუღუნნი, ერთი მეორესე გადაბმულნი, ხელფეხსე ქლარუნებით, რომ შეკეტოთ, საით მიდი-მოდიოდნენ. ორი ავასაკი იყო მათ სადარაჯოდ. ერთ ოთახში ორის შეტი არ ჭკავდათ. მკერვალები კი ერთად მუშაობდნენ კედელზე ჯაჭვებით მიბმულნი. ესენი ის დაკარგული მკვარები იყვნენ, რომელნიც მკელი მონასტრის დასათვალიერებლად დაიარებოდნენ. სულ 14 იყვნენ. იმათ გვიამბეს, რომ ავასაკებს 3 მათგანი მოეკლათ მათ თვალწინ, ორი ავადმყოფობის კამო და ერთიც რაკი არ დასთანსმებოდა მუშაობას. ჟანდარმებმა გაათავისუფლეს საბრალონი. წამოიყვანეს ვირები სასახლეში, დაწრილები წაიყვანეს საავადმყოფოში და ავასაკები სატუსალოში. მათ უმფროს გადუწვიტეს სიკვდილით დასჯა და სხვები გაჭკვავნეს კაიენში. მეკი ვეველა ქება დიდებას მიძღვნიდა, და ზემ დანახვასე იძახდნენ:—აკერ კადიმონი! განათლებული კადიმონი, რომელსაც ბადალი არა ჭკავს და მატო ვე გვირჩვენთან ქვეყნის ვირებსაო.

ან. ამილახვარი

(შემდეგი იქნება)





ბასართობი

რომ იცოდეთ, როგორ უფრთხილდებთ და უკლის დედა სწილო თავის შვილს! ერთხელ მონადირეები გამოეკიდნენ ერთ დედა სწილოს და დასწრეს; თან შვილი ჰქუვდა. სწილომ სორთუში ჩაჰკიდა შვილსა და განქარებული გარბოდა მონადირეთაგან.

მაგრამ მონადირე კ'სა გადაუწრა. დედამ სორთუშით აიკვანა შვილი, ფრთხილად ჩავიდა მდინარეში. რა კარგი სანახავი იყო სწიერი სწილო თავისი შვილით! ჰატარა სწილოს წულისა ეძინოდა, და დედას ისე ძაღლა ეჭირა, რომ წუხლს არ აკარებდა.

მონადირეებმა ამის დანახვაზედ ვეღარ გაიქტეს სასიკვდილოდ გონიერი ცხოველი და თავი გაანებეს.

ბ ა მ რ ც ა ნ ი ბ ი

კიჟი, კიჟი, კიჟინასა, მკვდარი ცოცხალს იჭირავსა;
ღმერთო, ჰკითხე კიჟინასა, რა ტუუილად მიჭირავსა.

უსულოსა, უგულოსა სამი სარტყელი აკრია.

ზ მ ა

მაკა კილოსე შეტეოდა:
სილა არ მიუვარს შენაო,
ვითამ არ იცი, რადა ვარ,
შე შარის თავო, შენაო!

რ ე ბ უ ს ი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი


სა
ქვეყნული ანუ



სა



ბეწვასა



მე-3 №-ში მოთავსებულ გამოცანების აღსნა:

ქარაღის აღსნა: ქელია.

ანაგრაძის აღსნა: ფოთი — თოფი.

რეზუსების აღსნა: 1) ძალი ძაღლის ძვალს არ ვსტყვს.
2) შაქარე ტკბელია



იუიდება ნაკადულის რედაქციაში და
წ.კ. საზ. მაღაზიაში შემდეგი წიგნები:

ფლავრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ

ტომის თავ გადასავალი, თხზულება მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ

რას გვიამბობს ოთახი, თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ

საქმის აღწერა სსრკ-ის მინისტრის განკარგულებაში

ნაკადული

გამოვა 1910 წელს იმავ კომპარტით.

ფასი ფულიურად:

მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მანეთი (I) მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან.
ორნივე ერთად მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის 36 წიგნისა 5 მანეთი.

ნახევანის წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად — 3 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში გოლოვინის პროსკა. სახ. № 8
და წერბ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის პალატაში, სასახლის ქუჩა.

